ძველი დღისათვის

ქ. ს–ს

ო... არ იფიქროთ, რომ ლამაზების
მწვავს სიყვარული ან სიძულვილი:
მე მხოლოდ ძველი დღის დაფასების
და გახსენების მქონდა სურვილი.

და აი გუშინ, როცა კარადის
თაროსთან წიგნებს ვეძებდი დილით,
უეცრად ვნახე თქვენი ბარათი,
თქვენსავით მკრთალი და ფერმიხდილი.

- გილოცავ, ძმაო, ბედნიერ მყობადს, –
ჩამჩურჩულებდა ნაზად წერილი
და მომაგონდა ჩვენი ბავშვობა,
აწ გარდასული და გაფრენილი.

ო არ იფიქროთ, რომ ლამაზების
მწვავს სიყვარული ან სიძულვილი.
მე მხოლოდ ძველი დღის დაფასების
და გახსენების მქონდა სურვილი.

1937